ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2011 წლის 29 აპრილი ქ. ლაგოდეხი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 2 0

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

1. დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში. (თან ერთვის)
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში, მისამართი 26 მაისის ქ. №19.

საკრებულოს თავმჯდომარე: /გიორგი გოზალიშვილი /

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ

მოგახსენებთ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2009 წლის 23 დეკემბერს 4574.0 ათასი ლარის ოდენობით.

შემოსულობების გეგმამ შეადგინა სულ 4574.0 ათასი ლარი. აქედან გამოსავლების გეგმამ შეადგინა 4199,4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლების გეგმამ შეადგინა 374,6 ათასი ლარი.

2010 წლის მანძილზე ბიუჯეტის შესრულების პროცესში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის, აგრეთვე ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, საკრებულოს გადაწყვეტილებებით შეტანილ იქნას ცვლილებები, რის შედეგადაც 2010 წლის სულ შემოსულობების გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 6746,495 ათასი ლარი. აქედან:

შემოსულობების გეგმამ შეადგინა 6608.294 ათასი ლარი. სხვა დანარჩენი შემოსავლების გეგმა იყო 617.1 ათასი ლარი, გრანტებმა შეადგინა 5708.994 ათასი ლარი. სხვა დანარჩენი შემოსავლების გეგმა იყო 191,4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 90.8 ათასი ლარი. შემოსავალმა მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული სასხსრების ნაშთიდან შეადგინა 138.2 ათასი ლარი.

2010 წლის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 6746.495 ათასი ლარი. ხოლო შესრულებამ შეადგინა 6845.714 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 101.5%-ით აქედან:

გადასახადების გეგმა იყო 617.1 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 652.890 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 105.8%-ით.

გრანტების გეგმა შესრულდა 100 %-ით და შეადგინა 5708.994 ათასი ლარი. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 191.4 ათასი ლარი. შესრუბამ შეადგინა 210.523 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 110.0 %-ით. არაფინანსური აქტივების გეგმა იყო 90.8 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 135.107 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 148.8 %-ით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის გადასხელების (ხარჯების) დაზუსტებული გეგმა იყო 6746.495 ათასი ლარი. შესრულებამ შეადგინა 6542.406 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 97.0 %-ით, ხარჯები ძირითადად გაწეულია ეკონომიით.

1. მუნიციპალიტტეტის საკრებულოს 2010 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 300.0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 298.997 ათასი ლარი ანუ 99.7 %.
2. მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 390.282 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 384.729 ათასი ლარი (98.1%).
3. საფინანსო სამსახურის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 79.3 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 76.021 ათასი ლარი (96.2%).
4. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 52.5 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 51.776 ათასი ლარი (98.7%).
5. ზედამხედველობის სამსახურის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 52.6 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 52.439 ათასი ლარი (99.6%).
6. კულტურის სამსახურის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 50.1 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 49.745 ათასი ლარი (99.2%).

7. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 87.960 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 85.7 ათასი ლარი (97.4%).
8. სსიპ საქართველსო ეროვნული არქივის ადგილობრივი ორგანოების ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 6.8 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 6.790 ათასი ლარი (99.9%).
9. მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯმა გეგმიური 15.0 ატასი ლარის ნაცვლად შეადგინა 12.657 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 84.7%-ით.
10. რწმუნებულების ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 392.325 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 378.603 ათასი ლარი (96.5%).
11. შ.ს.ს. ადგილობრივი ორგანოების ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 26.0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 25.971 ათასი ლარი (99.9%).
12. საგანგებო სიტვაციების მართვის საქალაქო სამსახურის (სახანძრო) ხარჯის დაზუსტებული გეგმა იყო 350.7 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 335.718 ათასი ლარი (95.7%).
13. ინფრასტრუქტურის მშენებლობის რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის დაზუსტებული გეგმა იყო 2641.838 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 2560.987 ათასი ლარი (96.9%).
14. საგანმანათლებლო ღონისძიებების დაზუსტებული გეგმა იყო 822.195 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 814.172 ათასი ლარი (99.0%).
15. სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაზუსტებული გეგმა იყო 920.037 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 908.399 ათასი ლარი (98.7%).
16. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაზუსტებული გეგმა იყო 496.658 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 490.053 ათასი ლარი (98.7%).

2010 წელს კვლავ დიდი ყურადღება დაეთმო ინფრასტრუქტურის განვითარებას. არაფინანსური აქტივების ზრდას მოხმარდა 2609.0 ათასი ლარი. ყურადღების ცენტრში იყო მოსახლეობის სოციალური დახმარების საკიტხები. ამ მიმართულებით გაიხარჯა 472.5 ათასი ლარი და სხვა.